№ 90 **სახალხო გაზეთი** № 90

სამშაბათი, 24 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი პირველი



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
# სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.



ქვრივი მარიამ დიმიტრის ასული მუავიასი შვილებითურთ და სიდედრი განსვენებულ **გიგო ივანეს ძე მუავიასი** ულრმესს მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც პირად მოსვლით, ტელეგრამებითა თუ წერილობით პატივი სცეს მათ და მონაწილენი გახდნენ მათის მწუხარებისა. (1—109—1)



**კვირას, 5 სექტემბერს**
დღის $11^1/_2$ საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში
მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად მთავრობის მიერ ნება დართულ
## „ქართველ მომღერალთა საზოგადოება სანთურისა."
განსახილველია:
1. გაცნობა საზოგადოების წესდებისა;
2. ახალ წევრების მიღება;
3. საზოგადოების გამგეობის არჩევა. (5—4)



ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო
## სკოლა
(საპიორის ქუჩა ყლენტის სახლი № 18)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, სიმღერის, (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვის (solfegio.) კლასსებში დაიწყება 26 აგვისტოდან დილის 10 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ამ ზემო აღნიშნულ დროსვე მოხდება ხმების გაშინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით ახლად დაარსებულ საეკკლესიო გუნდში, რომელიც იგალობებს **ქვაშვეთის წმ. გიორგი ეკკლესიაში.**

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.** (2—105—2).



## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაჩეჩილაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. მთმთქა**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6. 421)



## ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გორბოვსკი-შარაპეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა,** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**სიბოლევსკი გ. მ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები ½ მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—260)



ქ. ქუთაისში
თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის
## წიგნის მაღაზიაში
დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ფოსტზე გადახდებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

| | | |
|---|---|---|
| 1. | გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. | ფასი 80 კ. |
| 2. | ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, | „ 50 „ |
| 3. | ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, | „ 20 „ |
| 3. | ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, | „ 50 „ |
| 5. | საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, | „ 25 „ |
| 6. | ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, | „ 10 „ |
| 7. | დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ქარაიასი. | „ 15 „ |

(25—6—5)



წიგნის გამომცემელი ამხანაგობა
## „ალიონი"
ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.
(0—6.—10) ამხანაგობა „ალიონის"-ს გამგე ვ. გადილია.



## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
**ხუდაბაშევი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.
**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.
**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—88)



## პირველი
ყველასათვის ხელ-მისაწვდომი
**კლასები ფორტოპიანოსი**
თავისუფალ მხატვრის პიანისტის
**იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვისა.**
ტფილისი, ელისაბედის ქ., N 40.
**გაკვეთილი:**
თავის ბინაზე 10 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი) და 8 მ. თვეში (კვირაში 1 გაკვეთილი).
გაკვეთილი მოწაფის ბინაზე: 25 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი), და 15 მ. თვეში (1 გაკ. კვირაში). ფასი თვის დასაწყისში, წინ და წინ. ღარიბები, ვისაც ნიჭი აქვს, უფასოდ სწავლობს და მიიღებიან კონკურსით თავისუფალ ადგილებზე. ამათ უნდა წარმოადგინონ სიღარიბის მოწმობა. უფასო ადგილი 30.
ვინც დაწინაურდება, გაივლის მუსიკის თეორიასაც. ყოველ წელს იმართება კონცერტები. უქმობენ კვირა-უქმე დღეებს. (20—6.—4)



**დაიბეჭდა და იყიდება**
თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში
**ბატონ-ყმობა საქართველოში**
ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.
## საქართველოს ისტორია
ს. ქვარიანისა.
ფასი 25 კაპ. (15—ფ.—9)



**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—201



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)



## შპალიერი
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რული
**ძმ. ტარნოპოლების**
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.
**ფასები საფაბრიკოა.**
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—49)



**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**
**ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ელექტრიანებისა ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6.—51)



**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)



**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79 (0—6.—31)



**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.



**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)



**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** გის ქუჩაზე, იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.



**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—16)



## სურამის კერძო პროგიმნაზიაში
1910 წლის პირველ ენკენისთვიდან
**იხსნება მე-2 კლასი.**
მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდან. (4—382—2)



**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კირპიჩნის და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69, მარჯვენა ხელით ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.



ნაფიცი ვექილი
ლუკა ლუკას ძე
## ბახტაძე
გარდავიდა გოლოვინის პროსპექტზე სახლი 28.
(3—104—2)



## „განათლების"
საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბავშვების მიღება და ხელმეორე გამოცდა ხსენებულ საზოგადოების საქალებო სკოლაში. როგორც განყოფილებებში, აგრეთვე პროგიმნაზიულ სამ კლასში დაიწყობა 26 აგვისტოდან დილის 9—1 საათამდის სწავლა დაიწყობა 1 ენკენისთვეს.

ადრესი: სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6, საკუთარი სახლი (3—2).


## ტფილისი, 24 აგვისტო

ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისის ქალაქის თვითმართველობას ორიოდე წერილი ვუძღვენით, სადაც ვამტკიცებდით, რომ ქალაქის თვითმართველობაში სომეხთა ბურჟუაზია ნაციონალისტურ პოლიტიკას აწარმოებს. ამ წერილებზე გაზეთმა „მშაკმა" გვიპასუხა, მაგრამ სიტყვა ბანზედ აიგდო და ნაცვლად იმის მტკიცებისა, რომ ჩვენი აზრი შემცდარია, ნაციონალისტობა და გვწამა. ახლა რუსული ასოებით დაბეჭდილმა, სომეხთა მეორე გაზეთმა, „ტფ. ლისტოკმა" მოისურვა პასუხის გაცემა, მაგრამ ნაცვლად სერიოზული პასუხისა ჩვეულებრივი ხაჩატუროვისებური ფანდი იხმარა; არც აცივა, არც აცხელა და „პირდაპირ გამოაცხადა—„სახალხო გაზეთი" თხოულობს პროპორციონალურად იქნეს მოწყობილი არჩევნები ქალაქის თვითმართველობის ორგანოებში სხვა და სხვა ერთაგანაო. ასეთი აზრი ჩვენ არას დროს არ გამოგვითქვამს, ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ საერთოდ, ეხლანდელი სომხებისაგან შემდგარი საბჭო ქალაქისა, სომხურ ნაციონალისტურ პოლიტიკას აწარმოვებს—მეთქი. ეს ჩვენი აზრი ვერც ერთმა ჩვენმა მოწინააღმდეგემ ვერ დაარღვია და ვერც დაარღვევს, ვინაიდან ის მართალი და ჭეშმარიტია. ხაჩატუროვის ორგანომ კი ამ აზრის დარღვევის ნაცვლად, სულ სხვა გვარი ლაითაიები დაიწყო. ერთი ტყუილი ხომ ზევით აღვნიშნეთ. მაგრამ ეს როდი იკმარა ამ გაზეთმა, ამას სხვა მარგალიტებიც წაუმატა: ქართველები და სომხები ტფილისში ყოველთვის მეგობრულად სცხოვრობდნენ და მათ შორის არას დროს ეროვნული შუღლი არ არსებობსო, პირიქით საქართველოს დამოუკიდებლობის დროს სომხები ერთგულნი ქვეშევრდომნი იყვნენ ქართველ მეფეებისა და მათ გაჭირვებაში დიდ დახმარებას უწევდნენო. ასეთი მეგობრული განწყობილება დაირღვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტფილისიდან ფოთში რკინის გზა გაიყვანეს და რაც დასავლეთიდან (იგულისხმე დასავლეთ საქართველოდან, იმერეთიდან) ტფილისში ჩამოვიდა მისი ცხოვრების და სომეხ-ქართველთა ურთიერთობის არ მცოდნე ხალხი. ეს კიდევ ცოტაა, იმერლების სახელის გასატეხად არ ცნობილი შეთხზული ზღაპარიც მოიყვანა, ვითომც იმერეთის ჯარმა დახმარების მაგიერ ქართლის ერეკლე მეფის აღა-მაჰმად ხანის დროს რბევა დაიწყო აბა, დაუკვირდით, მკითხველო რისი თქმა სურს „ტფ. ლისტ." აბა დაუკვირდით, რა გვარ, სხვა რომ არა ვსთქვათ, პროვოკაციას ეწევა ხაჩატუროვის ორგანო!..

ერთი რამ კიდევ უნდა შევნიშნოთ ამ უტიფარ გაზეთს: ჩვენ არ გვითქვამს, რომ ქართველ და სომეხ ხალხს შორის რაიმე შუღლი ანუ მტრობა ყოფილიყოს, არც ვიტყვით, ვინაიდან ბურჟუაზიის პოლიტიკანობაში სომეხ ხალხს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. თვით იმერეთში, რომლის მცხოვრებლებსაც „ტფ. ლისტ." აბრალებს ეროვნულ შუღლის შემოტანას ქართველთა და სომეხ შორის, სცხოვრობენ სომხები და მათ არავითარი შუღლი არა აქვთ იქვე სცხოვრებ ქართველებთან.

მეორეც, უნდა გავახსენოთ ხაჩატუროვის გაზეთს, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი ქართველები სრულიადაც უცხონი არ არიან საქართველოს სატახტო ქალაქისათვის და ტყუილი ცდაა ამ გვარ ოინით ფონს გასვლა. დღესდღეობით უკვე ყოველ ქართველს შეგნებული აქვს, რომ ქართველები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები და სხვ. ყველანი ქართველები არიან, ერთი ერის წევრნი. ეს შეგნება უკვე გაითქვიფა ქართველ ხალხის ფართო წრეებში და ვერავითარი სურვილი ხაჩატუროვის და კომპ. „divide et impera"-ს პრინციპზე დამყარებული აქ ვერას გააწყობს და არა საკადრისი საქციელი კი „ტფ. ლისტ." საკადრის სახელს დაიმსახურებს.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გერმანიის დაუდგრომელ იმპერატორის ვილჰელმის სიტყვამ, როგორც წინადაც ვწერდით, მთელი ევროპა აალაპარაკა. გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს უმთავრესად კენიგსბერგში წარმოთქმულ მხედრულ სიტყვის იმ ადგილს რომელიც გამოჰხატავს იმპერატორის შეხედულობას თავის როლზე გერმანიის პოლიტიკის წარმართვაში. როგორც მკითხველს ეხსომება, იმპერატორი ლაპარაკობდა თავის დანიშნულებაზე უზენაესის განგებისაგან სახელმწიფო საქმეების საწარმოებლად გარდამავალ შეხედულებათა მიუხედავად და იწვევდა გერმანიის მოქალაქეებს, დაეხმარებოდნენ მას ამ ღვთით დავალებულ საქმის განხორციელებაში. გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა ორგანომ გამოაცხადა, იმპერატორის სიტყვა პირადი აღსარებაა და არა მთავრობის აქტიო.

ამის გამო რუსეთის ოქტომბრისტთა ორგანო „გოლოს მოსკვ." შენიშნავს:

„ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რა აიძულებს გერმანიის კანცლერის ორგანოს, იმპერატორის დამცველად გამოვიდეს, მაგრამ ამასთანავე აქ ნათლად ვხედავთ იმ გარემოების დამამტკიცებელ საბუთებს, რომ გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ ძალიან ცხადად განირჩევა იმ პირის მოქმედებისა და აზრებისაგან, რომელიც მოწოდებულია, იყოს გერმანიის სახელმწიფო იდეიის გამომხატველად საზღვარ-გარედ. ამ უთანხმოების გამო იბადება საკითხი, რომელია ნამდვილი სახე გერმანიის სახელ-იდეისა და ვინ არის ჭეშმარიტი გამომხატველი იმის მისწრაფებისა? რეიხსტაგი თავის პარტიულის მოუწესრიგებლობით და ნიჭიერ ხელმძღვანელების უყოლობით თუ მონარქი, რომელსაც ფანატიკოსურად სწამს თავისი ღვთაებრივი დანიშნულება და რომელიც „მშვიდობიანობის სახელით" ურიცხვ ჯავშნიან გემებს აგებთ და ამასთან ოცნებობს თავის მხედრობის ახალს გაძლიერებაზე?

გაზეთს ჰგონია, რომ იმპერატორს სახეში რუსეთი ჰქონდა, როცა ამბობდა, უცხოეთში სამხედრო ძალები იზრდებიანო ეს გარემოება თითქოს ეჭვს ალუძრავს მშვიდობიანობის სიმტკიცის შესახებ „გოლოს მოსკოვის" რედაქციას, რომელიც განაგრძობს:

„რუსეთი გერმანიასთან მხოლოდ მშვიდობიან მეზობლობას დაეძებს, რადგან უამისოდ შეუძლებელია ამ ორ დიდ სახელმწიფოს ინტერესების დაკმაყოფილება. რუსეთის საზოგადოებრივი აზრს მხოლოდ იმ დრომდე შეუძლიან ეს ურთიერთობა დაიცვას, ვიდრე იგი დარწმუნებულია, რომ საზღვარს გაღმა ავანტიურის არაფერს ამზადებენ. მაგრამ ვინ დაგვიდგება ამის თავდებად, როცა ვისლის გაღმა ისეთი სიტყვები წარმოითქმის, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მეზობელ სახელმწიფოს სათავეში მისტიკოსი უდგა, და რომ ამ მისტიკოსს მარტო თავისი თავი მიაჩნია ისეთ ნიჭის მატარებლად, რომელიც შესაძლოდ ასეთს სახელმწიფოს დანიშნულების გამოცნობას, ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად".

საინტერესოა, რომ ოქტომბრის გაზეთი ასე სასტიკად ჰგმობს იმპერატორ ვილჰელმის პირად პოლიტიკას და ასე აშკარად ექომაგება წარმომადგენლობითს რეჟიმს საგარეო პოლიტიკის საქმეშიაც კი. ხშირად ბევრი რამ სიკეთე კაცს თავისთვის ვერ გაუმეტებია, სხვებისთვის კი გულუხვად აძლევს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21—22 აგვისტო.

### საზღვარ-გარეთ

**რომი.** აპულიაში ერთ დღეს ხოლერით ავად გახდა 20 კაცი, გარდაიცვალა 17 კაცი.

**ბუქარესტი.** რუმინიისა და ოსმალეთ შორის სავაჭრო ხელშეკრულობის დასადებად მოლაპარაკება დაიწყო.

**შამბერი.** აქ მოვიდა პრეზიდენტი ფალიერი. ხალხი აღტაცებით მიეგება.

**ურმია.** დათხოვნილ მოტეშამუსსალტანეს ნაცვლად ურმიის, სალმასის და ხოის გუბერნატორად დაინიშნა ჯალილ-მულკი, რომელიც დღეს მოდის სალმასში 300 მხედრის თანხლებით.

**სარაგოსსა.** აქ სრული მშვიდობიანობაა. მაღაზიები გააღეს; მუშაობა განაახლეს.

**ბილბაო.** გემების ასაშენებელ სადგურის მუშათა წინამძღოლებმა დაადგინეს განაახლონ მუშაობა. 23 სექტემბრიდან.

**კრემენჩუგი.** უცნობმა პირებმა სტფოსტო მატარებელს რამდენჯერმე ესროლეს სადგურ „ვესელი პოდოლის" მახლობლად.

### ჰაერში ფრენა.

**დოვილი.** ავიატორი მორანი აფრინდა 2582 მეტრის სიმაღლეზე (2 ვერსამდე). ამაზე მაღლა ჯერ არავინ აფრენილა. 2500 მეტრის სიმაღლეზე ჰაეროპლანს გაუფუჭდა მატორი, მაგრამ მორანი მაინც უვნებლად დაეშვა მიწაზე.

**ჩერნიგოვი.** მიღებულია სხვა და სხვა ღონისძიება შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

### რუსეთი

**ორიოლი.** სოფლის სკოლების მოწაფეებისთვის სამაზრო ერობის მიერ მოწყობილი საორთვეო სასოფლო-სამეურნეო კურსები ასზე მეტმა მსმენელმა დაასრულა. მსმენელებს სამიწადმოქმედო დეპარტამენტის ხარჯით წიგნები დაურიგეს. ცდა მარჯვე გამოდგა.

**მოსკოვი.** ქალაქის საყასბოების ის ბეითლები, რომელთაც ციმბირის ჭირით ავადმყოფ ღორის ხორცის გაყიდვის ნება დართეს სამართალში მისცეს.

**ოდესსა.** რადგანაც პრესსა გადაჭარბებულ ხმებს ავრცელებს, ვითომც ოდესსაში შავი-ჭირი ძალზე იყოს გავრცელებული და ამიტომ თვით ქალაქის შეკვრაც უნდათო, არაჩვეულებრივი კრება მოხდა. კრებას დაესწრო გრადონაჩალნიკი, უმთავრესი ინსპექტორი მალინოვსკი, შავი ზღვისპირა სამკურნალო ოლქის ინსპექტორი დამასკინი და საელჩოების წარმომადგენელნი. კრებამ გამოარკვია რომ ხმები ეპიდემიის შესახებ. ძალზე გადაჭარბებულია. შავ-ჭირთან მებრძოლთა ხელმძღვანელმა დამასკინმა განმარტა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულობის ძალით არც ერთი ქალაქი არ შეიძლება, რომ შეკრულ იქმნასო. ამ კრებამ მცხოვრებლები ძალზე დაამშვიდა.

**ოდესა.** აქ მოვიდა კენიგსბერგის უნივერსიტეტის პროფესსორი ნეიმანი შავ ჭირთან საბრძოლველ ზომების გასაცნობათ. ინახულა ბარაკები, საბაქტერიოლოგიო სადგური და შავ ჭირთან საბრძოლველ ბიუროს სხდომას დაესწრო.

**კურგანი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მიწათმოწყობ სამმართველოს მთავარი გამგე მოვიდნენ რა დილის 8 საათზე ჩელიაბინსკში, და გაეცნენ რა აქაურ მოხელეებს, მაშინათვე იმ ადგილას დასათვალიერებლად გაეშურნენ, რომელიც დანიშნულია გადასახლებლად განმზადებულთა დასასვენებლად. ამ ადგილიდგან გაზაფხულზე ყოველ დღე უნდა გაისტუმრონ ხოლმე 10,000 გადასახლებული. მინისტრებმა ორი საათის განმავლობაში ზედ-მიწევნით დაათვალიერეს ამ ადგილის გამართული ბარაკები, საავადმყოფო, დუქნები და სხვა. ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ, რადგანაც ყველაფერი სუფთად და მოწყობილად დაუხვდათ.

**ნოვოჩერკასსკი.** სოფლად შავი ჭირის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ზღვაში, დონის შესართავთან, დაარსდა ვირთაგვების გამწყვეტი შვიდი რაზმი და სამკურნალო—საყურისმგდებლო სადგურები. რადგანაც ყაზახთა სოფლებში ხოლერამ იკლო, ხოლერასთან საბრძოლველად გამოგზავნილი ექიმები და ფერშლები ოლქის უფროსის მეთაურობით მთელ ოლქს შემოივლიან სანიტარულის მხრივ მოსაწყობათ.

**რადომი.** აქეთ გზათ გამოიარა ოთხმა, ავსტრიაში მიმავალმა მოსკოველმა მოგზაურმა. ამათ განზრახვა აქვთ ფეხით შემოუარონ მთელ დედამიწას, უფულოდ.

### ხოლერა და შავი ჭირი

**პეტერბურგი.** სააგენტოსაგან მიღებულ ცნობებით ერთი კვირის განმავლობაში ბაქოში ხოლერით ავად გახდა 86, გარდაიცვალა 36, ავად არის 95 კაცი. პოდოლის გუბერნიაში ავად გახდა 49, გარდაიცვალა 28, ჩერნიგოვისაში—ავად გახდა 96, გარდაიცვალა 32.

**პეტერბურგი.** დღე და ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 45, გარდაიცვალა 26, საავადმყოფოებში წევს 675 კაცი.

**პეტერბურგი.** პროფესორი ოროვინი დეპეშით იუწყება ეკატერინოსლავიდან, რომ იუზოვკაში ხოლერიან რაიონში გაიხსნა დროებითი იაფფასიანი სასადილო და აშენებენ ახალ სასადილოს ცოლშვილიან მუშებისთვის. სასადილოს აშენება დაჯდება 300.000 მან. წასულ მუშების ნაცვლად სამხედრო გუბერნიებიდან მოიყვანეს 600 ოსმალო მუშა. ხოლერიანთა რიცხვი დონის რაიონში ყველგან თვალსაჩინოდ შემცირდა, ხელახლა ხოლერის გაჩენის წინააღმდეგ საბრძოლველად შეადგინეს სასანიტარო რაზმები ბაქტერიოლოგიურ კაბინეთებით, თითო რაზმი თითო რაიონში. გარდა ამისა თითო რაზმს მოაწყობენ იუზოვის წარმოება და პეტროვსკის ქარხანა. საერთო ხელმძღვანელობა ჩაებარება საგანგებო კომისიას, რომელიც შესდგება სხვა და სხვა წევ[illegible].

**პეტერბურგი.** ქალა[illegible] სასანიტარო კომისიამ დააწესა სასანიტარო ზედამხედველობა ყველა გემებისთვის რომლებიც პორტში შედიან, და აგრეთვე იმ გემებისთვის, რომლებიც შედიან ნევაში.

ხოლერის მოძრაობის შესახებ შემდეგი ცნობებია მიღებული: ორი კვირის განმავლობაში ტამბოვის გუბერნიაში ავად გახდა 1377, მოკვდა 707; ერთი კვირაზე ვიატკის გუბ. ავად გახდა 23, მოკვდა 13; კიევის გუბ. ავად გახდა 877. მოკვდა 349, კოსტრომის გუბერ. ავად გახდა 240, მოკვდა 209; კურსკის გუბერ. ავად გახდა 270, მოკვდა 134; მოგილევსკის გუბერნ. ავად გახდა 51, მოკვდა 20; ნიჟეგოროდის გუბერ. ავად გახდა 270, მოკვდა 70; ნოვგოროდის გუბ. ავად გახდა 23, მოკვდა 11; პენზის გუბ. ავად გახდა 68, მოკვდა 26, სამარის. გუბ. ავად გახდა 1197, მოკვდა 548; სიმბირსკის გუბერნ. ავად გახდა 230, მოკვდა 135. ტავრიდის გუბ. ავად გახდა 200, მოკვდა 129; სმოლენსკის გუბ, ავად გახდა 8, მოკვდა 4,—ეპიდემის გაჩენიდან ავად გახდა 69, მოკვდა 42; ტვერის გუბერნ, ავად გახდა 3, მოკვდა 2; ხარკოვისაში ავად გახდა 863; მოკვდა 489; ატკარსკში ავად გახდა 9, მოკვდა 2; ოლქში ავად გახდა 138, მოკვდა 63. კიევში ავად გახდა 6, მოკვდა 2; კოსტრომაში ავად გახდა 24, მოკვდა 11; კრონშტატში ავად გახდა 22, მოკვდა 12; ქვემოლომოვში ავად გახდა 5, მოკვდა 2; ნიჟნი ნოვგოროდში ავად გახდა 19, მოკვდა 6; ომსკში ავად გახდა 280; მოკვდა 155, მაზრაში ავად გახდა 4, პეტროპავლოვსკში ავად გახდა 3; პავლოგრადის მაზრაში ავად გახდა 27, მოკვდა 12. პენზაში ავად გახდა 29, მოკვდა 9; რამანოვ-ბოროსოგლებსკში ავად გახდა 7, მოკვდა 1; დონის როსტოვში ავად გახდა 21, მოკვდა 2, სამარაში ავად გახდა 40მოკვდა 21 ბობროვსა და პავლა ქალაქებში ავად გახდა 20 მოკვდა 8, მაზრაში ავად გახდა 34 მოკვდა 67, სულ ეპიდემის გაჩენიდან მაზრასა და ქალაქში ავად გახდა 899 მოკვდა 462. ოდესაში ავად გახდა 25 მოკვდა 16, უფაში წყლის ანალიზმა ხოლერის ვიბრიონები ვერ აღმოაჩინა. სევასტოპოლში ავად გახდა 2, მოკვდა 1; სამარაში ავად გახდა 40, მოკვდა 21; სევასტოპოლ[illegible] ავად გახდა 21, მოკვდა 1; სიმბირსკში ავად გახდა 10, მოკვდა 8; სიმფეროპოლში ავად გახდა 2, მოკვდა 4; სტავროპოლში ავად გახდა 11, მოკვდა 1.

**პეტერბურგი.** სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები ხოლერის შესახებ: კვირის განმავლობაში ტაშკენტში ავად გახდა 7, მოკვდა 4; მაზრაში ავად გახდა 7, მოკვდ ; 4 ჩიმკენტში ავად გახდა 9, მოკვდა 4; პრისში ავად გახდა 4, მოკვდა 3; ტვერში ავადა გახდა 1. ქუთაისში ავად გახდა 19, მოკვდა 9; გუბერნიაში ავად გახდა 51, მოკვდა 30; ერევანში ავად გახდა 70, მოკვდა 47; გუბერნიაში 103, მოკდა 51; ბათუმში ავად გახდა 6. დაღესტნის ოლქში ავად გახდა 110, მოკვდა 49; იტიუმენში ავად გახდა 26, მოკვდა 8; უფაში ავად გახდა 48, მოკვდა 28; მაზრაში პირველიდან 16 აგვისტომდე ავად 44, მოკვდა 25; მენზელინის მაზრაში 1-დან 17 აგვისტომდე ავად გახდა 211, მოკვდა 114; მაზრაში (?) ავად გახდა 1066, მოკდა 518; ხარკოვში ავად გახდა 19, მოკვდა 10; კერჩში 10, მოკვდა 6.

# ახალი ამბები

### ტფილისი

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 21 აგვისტოს დილის 9 საათიდან 22 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 18 ავადმყოფი, მორჩა და გამოეწერა—2, გარდაიცვალა—1, დარჩა—15.

22 აგვისტოს დილის 9 საათიდან 23 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა—1 კაცი, ხოლერის ნიშნებით—2. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 15 ავადმყოფი, მოემატა—2, მორჩა და გამოეწერა—3, დარჩა—14.

✦ **სასამართლოში.** გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოში უნდა გარჩეულიყო ტფ. მაქმბარ პოლიციის ყოფილ უფროსის მაჩინსკისა და ამავე პოლიციის ორის აგენტისა. ამათ ბრალი ედებათ იმაში, რომ განზრახვით ფანჯარაზე ყუმბარა დაუდვეს ტფ. [illegible] მელაძეს და შემდეგ კიდეც დააპატიმრეს სახლში ვითომ ყუმბარის შენახვისათვის. გუშინ სასამართლოში ყველა მოწამე არ გამოცხადდა და ამიტომ საქმე სხვა დროისთვის გადაიდო.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** გუშინ ქალაქის სასანიტარო მზრუნველმა ანდრია ლულაძემ მეექვსე უბანში რამდენიმე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება დაათვალიერა. ზოგან უსუფთაობა აღმოაჩინა და ყველგან შესაფერი დარიგება მისცა. მზრუნველმა დაათვალიერა აგრეთვე ქალაქის საყასბო, რომელიც სუფთად აღმოჩნდა.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 22 აგვისტოს ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს სამი კაცი. მათი გვარები: 1. სევერიანე ნიკოლოზის ძე ჯავახაძე, 2. მაშადი მამედ უსეინ და 3. მაშადი მამედ ჰასან ოღლი. ამას გარდა ამ დღეს გარდაიცვალა 17 აგვისტოს ხოლერით ავად გამხდარი ზეინაბ მამედ-ალი კიზი.

✦ **ჯარის შესანახი ხარჯი.** ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თვითმმართველობას სამის დღის განმავლობაში გადაიხადოს ჯარის შესანახი ხარჯი. აგრეთვე სთხოვს აცნობოს აქამდე რატომ არ გადიხადა ქალაქის გამგეობამ ეს ხარჯი.

# „ნახევარ კაპეიკიანი" გადასახადი მარგანეცზე

### ფოთის ნავთსადგურის საკრებულოში.

როგორც მოგეხსენებათ ბ. ნ. ნიკოლაძემ მარგანეცის მრეწველობის ზურგზე ნახევარ კაპეიკიანის გადასახადის ატყავება მოინდომა. ეს გადასახადი ნიკოლაძეს, როგორც ფოთის ქალაქის თავს, წლიურად ხელში მისცემს 150—200 ათას მანეთზე მეტს და მაშასადამე, შეაძლებინებს ორ მილიონ მანეთის სესხებას... უფრო ხელსაყრელი ბ. ნ. ნიკოლაძისათვის ამ უშველებელის სესხის შოვნაა. თუ კი მთავრობამ ბ. ნიკოლაძეს გარანტია მისცა და ამ გარანტიის იმედით ვინმე კაპიტალისტმა ორი მილიონი გაიღო, მთელი ეს ახალი გარდასახადი ფოთის აურაცხელის ვალების სარგებელს მოუნდება. ფინალი კი ფოთის ქალაქის საქმეებისა ისეთივე იქნება, როგორც ყოველის დ:რდიმანდის კაცისა, რომელიც თანაც მოხერხებული კაცია და ვიდრე ცოცხალია, კლდიდან გამოსწურავს ფულს და ქეიფს არ მოიკლებს, ხოლო თავის შემდეგ კი ოჯახს სამათხოვროდ გაუხდის საქმეს. ბ. ნ. ნიკოლაძე იმდენ ვალებს უტოვებს ფოთს, რომ თუ იგი მარტო სარგებელს აუვიდა, ესეც დიდი საქმე იქმნება. რა მძიმე მდგომარეობა შეიქმნება, ამას ბ. ნ. ნიკოლაძე კარგად ჰხედავს და ამიტომაც მეცადინეობს, ვალების გასტუმრებაში უცხო ვინმე ჩაითრიოს: და აი ფოთსაც ეძლევა ყურ-მოჭრილი ყმა, რომელსაც ჭიათურის მარგანეცი ჰქვია და რომელიც უნდა შეიქმნეს ბ. ნიკოლაძის „გრანდიოზულის" „თავბრუდამხვევის" პლანების გაკოტრების ამნაზღაურებელი.

რასაკვირველია, არც ერთ ჭკუათამყოფ ადამიანს არა სურს სხვისი მონობა. ამიტომ ჭიათურის მრეწველთა წარმომადგენელი ორგანო, მრეწველთა კრება და საბჭო დიდი წინააღმდეგი გაუხდა ამ გარდასახადის შემოღებას, რამაც ბ. ნიკოლაძის სურვილები ძალიან შეაფერხა. მრეწველთა წინააღმდეგობამ ბ. ნ. ნიკოლაძე ისე გააბრაზა, რომ დაივიწყა ყოველივე პართებულობა და ისეთ საშუალებებს მიჰმართა, რომელნიც ჩირქსა სცხებენ მოღვაწის სახელს, რომელსაც ადამიანის ფიქრი უკავშირებს განსაზღვრულს სიისუფთავეს და სიფაქიზეს მოქმედებაში. ბ. ნ. ნიკოლაძე იქამდე მივიდა ამ ბრძოლაში, რომ მისი „მოღვაწეობის" სარჩული მისდა უნებურად საოცარის ცინიზმით თვალ წინ გადაგვეშალა. საკმაოა კაცმა გაიხსენოს ბ. ნ. ნიკოლაძის ბავშვური ჭორი დეპუტატ ა. ი. გუჩკოვთან ბაასის შესახებ.

ბ. ნ. ნიკოლაძის ცდა „ნახევარ კაპეიკიან" გადასახადის შესახებ ჯერ არ დაგვირგვინებულა. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია, რუსეთის ბიუროკრატიული კანცელარიები, რომ არ ჩაიდნენ, ისეთი საქმე არ არის. მაგრამ არც ერთის მოღვაწისათვის არ არის სასახელო ისეთი გამარჯვება, რომელიც დამყარებულია ფლიდობაზე, ქრთამებსა და სიყალბეზე. მართალია, ბეჩავი უმრავლესობა, მარტო „გამარჯვებას" ეგებება „ვაშათი", მაგრამ შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა კარგად ჰხედავს ასეთის გამარჯვების ყოველ-ნაირ არარაობას.

ჰო, და იმას მოგახსენებდით, რომ ბ. ნ. ნიკოლაძემ ვერც თუ ისე ადვილად მოახერხა ამ ბეგარის დადება და დღემდის ეგ საგანი საკამათოდ არის დარჩენილი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, რომლის ხელთაც არის ამ გადასახადის დამტკიცება, მეტად ფრთხილად ეკიდება საქმეს. სამინისტრო სთხოვს ფოთის ნავთ-სადგურის საკრებულოს („პორტოვოე პრისუტსტვიეს"), თავისი აზრი გამოსთქვას ამ საგნის შესახებ. ნავთ-სადგურის უფროსმა, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარედ ითვლება, თავდა-პირველად კერძო კრება მოახდინა. ამ კრებაზედ მოწვეულნი იყვნენ მარგანეცის მრეწველნი, რომელნიც ერთხმად წინაალუდგნენ ყოველივე გაწერილს გარდასახადს, ვინაიდან იგი გარდასახადი არ არის გამოწვეული მრეწველობის საჭიროებით.

ხუთშაბათს, 12 აგვისტოსთვის, ქ. ფოთში დანიშნული იყო ოფიციალური კრება საკრებულოსი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სათათბირო ხმით მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს თავმჯდომარე და ზოგიერთ საქონლის გამტან ფირმების წარმომადგენელნი (ბ-ნი მოსეშვილი, ჩილინგარიანი, პერსინაკი და სხვ.). სხდომის გახსნისათანავე ბ. ნიკოლაძემ განაცხადა, რომ თავმჯდომარე უკანონოდ მოიქცა, რომ სათათბირო ხმით მოიწვია მარგანეცის მრეწველები, ვინაიდან იგინი ასე ვსთქვათ „მომჩივნები" არიან და ტრიბუნალში მონაწილეობის უფლება ახლდა უნდა ჰქონდეთო. მაგათ ნება უნდა მივსცეთ თავიანთი სურვილი განგვიცხადონ და წაბრძანდნენო. ბ. ზდანოვიჩმა ამის წინააღმდეგ განაცხადა, თუ ვინიცობაა საკრებულოს თავმჯდომარე ამას დაეთანხმება, მაშინ ჩვენ ყველანი ვსტოვებთ საკრებულოსაო. საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამინისტროს განკარგულებით მას უფლება ჰქონდა დაინტერესებულ და მცოდნე პირთა მოწვევისა და ამიტომ ბ. ნიკოლაძის განცხადება უყურადღებოდ დასტოვა.

სხდომის დაწყებისათანავე წაკითხულ იქმნა დიდად დასაბუთებული და პირდაპირ საუცხოო მოხსენება საკრებულოს თავმჯდომარისა. ნავთ-სადგურის უფროსის ბ. პეტროვისა. ბ. პეტროვმა დაწვრილებით განიხილა ფოთის ქალაქის თვით მმართველობის ის ხარჯები, რომელიც უნდა დაიფაროს მომავალი სესხით, ხოლო ეს სესხი კი უზრუნველ უნდა იქმნას „ნახევარ-კაპეკიანის" გარდასახადით: ნავთ-სადგურიდან მიწის ამომთხრელი მანქანა-ქარავანი თვითმმართველობის აზრით უნდა ღირდეს 475,000 მანეთი. ნავთ-სადგურის თავმჯდომარის აზრით ეს მანქანა სრულებით საჭირო არ არის, იმიტომ რომ მთავრობასა აქვს ასეთი მანქანა და ყოველთვის ათხოვებს ქალაქის თვით-მმართველობას, ნავთ-სადგურს გაწმენდა ესაჭიროება—23 წელიწადში ერთხელ, და თუ გინდ ყოველ წელიწადს შეიქმნეს საჭირო, სულ მეტი 16000 სამკუთხი საჟენი მიწის ამოღებაა საჭირო, რომელიც სულ ბევრი დაჯდება 30000—40000 მანეთამდე წელიწადში. ეხლა ვსთქვათ, რომ ქალაქის თვით-მმართველობას, მაინცა და მაინც, უნდა საკუთრად შეიძინოს მიწის ამომთხრელი მანქანა: ამ საქმისთვის სრულიად საკმარისია მანქანა, რომელიც ღირს არა უმეტეს 150000 მანათსაო,—განაცხადა თავმჯდომარემ, ნავთ-სადგურის უფროსმა. წლიური გაწმენდა ნავთ-სადგურისა ეს ისეთი ხარჯია, რომელიც უეჭველად მარგანეცის მრეწველებმა უნდა გასწიონო.

მეორე მუხლი ხარჯისა ეხება მარგანეცის მექანიკურად გადამჭვირთავს, ეგრეთ წოდებულ „ელევატორს", რომელიც აღნუსხულია 670000 მანათად. ეგ „ელევატორი" ვერ ემსახურება მარგანეცის მრეწველობას, რადგან ყველა გემებს არა ჰყოფნის, ხოლო როცა ერთში ჰვირთავს საქონელს, მაშინ რომ სხვებმა უცადონ დასჭირდებათ 10—14 დღის ცდა, და ამის გამო ჯარიმაც უნდა გადაუხადონ გემის გამქირავებელსაო. დღეინდელ პირობებში მუშები მშვენივრად ჰვირთავენ გემებს. ამის დასამტკიცებლად ნავთ-სადგურის უფროსმა მოიყვანა სტატისტიკური ცნობები, რომლითაც ცხად ჰყო, რომ ორთა შუა რიცხვით გემს ნავთ-სადგურში სჭირია დაცდა არა უმეტეს ხუთის დღისა. აქ ბ. ნიკოლაძემ სცადა ჩვეულებრივი „ოინები" და „თავისი ციფრები" მოიყვანა, მაგრამ ნავთ-სადგურის უფროსმა მყისვე ამხილა სიყალბე ამ ციფრებისა. მაშინ ბ. ნიკოლაძემ „კულტურასა" და „პროგრესს" წაატანა ხელი, მაგრამ აქ. ბ. ზდანოვიჩმა ჩაჰკრა ლაგამი. კულტურული იარაღი ან უნდა აიაფებდეს წარმოებას, ანა და აორკეცებდეს მას, თქვენი მანქანა კი წარმოებას აძვირებს და ამცირებს: ეხლა 6—7 გემის დაჰვირთვა შესაძლოა ხუთ დღეში, თქვენის მანქანის შემწეობით კი 6—7 გემის დაჰვირთვას უნდა 12—14 დღეო. თანაც დღეს 750 ფუთის ჩაჰვირთვა გემში გვიჯდება არა უმეტეს 3 მან. 20 კაპ. თქვენ კი 7 მან. 50 კაპეიკსა გვთხოვთ იმავე რაოდენობის მანქანით გადაჰვირთვაშიო, თუ გინდ რომ გაანახევროთ თქვენი ფასი, ამ რაოდენობას ვერ გადაგვიჭირთავთ 3 მან. 75 კაპ. ნაკლებ, მაშასადამე თქვენი „კულტურა" აფერხებს და აჩერებს კულტურას და ახალი კი არა შემოაქვს-რა. თქვენ მანქანას მონოპოლიური ხასიათი აქვს. არავის არ შეუძლია გაგიწიოს კონკურენცია და ახალი მანქანა დასდგას, მაშასადამე თქვენის „კულტურით" მარგანეცის გადაჰვირთვის საქმეს საუკუნოდ გაყინვას უპირობთ.

ამ გვარად ნავთ-სადგურის უფროსის საფუძვლიან და ვრცელ გამონგარიშებით „ელევატორი" ბევრად უფრო ცუდი იარაღია გემების დასაჰვირთავად, ვიდრე უბრალო მუშის ხელი, რომელიც ბევრად უფრო იაფად და უფრო ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობასაო. მაშასადამე არც „ელევატორი" და არც ეს უშველებელი ხარჯი 670000 მანეთისა არავისთვის საჭირო არ არის. შლიუზიანის არხის გაკეთება, თუ გინდ ტეხნიკურის მხრით სასარგებლოც იყოს, არ არის საჭირო მარგანეცის მრეწველობისთვის, ისე როგორც ახალის ნავთ-სადგურის გაკეთება რიონის ჩრდილოეთის მხრით და ამისთვის ეს ხარჯიც უნდა ავაცილოთ მარგანეცის მრეწველობასაო. 340000 მანეთით რა ვალები გადაიხადა ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ, არა ვიცით რა, და ამიტომ

✦ **სანიტარულ აღმასრულებელ კომისიაში.** დღეს, 24 აგვისტოს საღამოს 8 საათს, ტფ. ქალაქის გამგეობის შენობაში მოხდება ხოლერასთან მებრძოლ საქალაქო სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიის კრება.

✦ **უპასპორტონი.** საერთო ჩხრეკა დაპატიმრების დროს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო: 21 აგვისტოს 31, ხოლო 22 აგვისტოს 101 უპასპორტო.

✦ **ცეცხლი შირაქში.** თვქვსმეტ მარიამობისთვეს ღამე შირაქში ცეცხლი გაუჩნდა ს. მირზაანელების ცხვრის ბინებს. სულ გადაიწვა თექვსმეტი ბინა ხუციშვილებისა და ალუღიშვილებისა. ზარალი დიდია.

✦ **ახალი აეროპლანი.** ქვემო მაჩხანიდან (სიღნაღის მაზრიდან) გვატყობინებენ, ბ. ა. ახმეტელაშვილმა თავისებურ მოწყობილების აეროპლანი გამოიგონა, მოდელი გააკეთა ამ ცოტა ხანში გამოსცდის.

✦ **წიგნთ-საცავ-სამკითხველო.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე სოფ. ნანეიშვილისეულში სახალხო სამკითხველოს დაარსების შესახებ.

✦ **ვადა გასული თამასუქები,** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა ვადასგასული ვექსილები იმ პირთა, ვისაც დღემდის არ გადაუხდია ვალი, გადაეცეს საზოგადოების იურისკონსულტს ვლად. კანდელაკს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები ვალის ასანაზღაურებლად.

✦ **ძმათა ზუბალაშვილების სტიპენდიები.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ორი თავისუფალი სტიპენდია დაუნიშნა: ერთი ანნა ხახუტაშვილს და მეორე თამარ ძნელაძეს. ერთდროული დახმარება სტიპენდიის გადარჩენილ თანხიდან მიეცათ სტუდენტს დ. მ. ტატიშვილს (100 მან). სტუდენტს ბესარ. ოქროპირიძეს (50 მან). შალვა ტატიშვილს, ელენე ქიქოძეს, და იოსებ გოგოლაშვილს სამ-სამი თუმანი, ერ. ფალავას 25 მან.—

✦ **ქალის მოტაცება.** სოფ ქვემო ბალეში (გორის მაზრა) ზაქარა გულიშვილის სახლს დასცემიან სერგო, იაგორა და გიგო კულუმბეგაშვილები, მოუტაციათ 18 წლის ქალი სალომე და გაუყვანიათ იქავე ტყეში. იაგორა და გიგო მოშორებიან და წასულან სახლში ხოლო სერგო კულუმბეგაშვილს გაუპატიურებია სალომე. იაგორ და სერგო კულუმბეგაშვილები შეიპყრეს და გორის საპატიმროში ჩაამწყვდიეს, ხოლო გიგოს ეძებენ.

✦ **ეგზარხოსის წასვლა პიატიგორსკში.** როგორც გვატყობინებენ, საქართველოს ეგზარხოსი ამ დღეებში კისლოვოდსკში მიდის, სადაც ინახულებს მიტროპოლიტ ანტონს. აქვს რაიმე დამოკიდებულება მათ შეხვედრას საქართველოს საეგზარხოსოს საქმეებთან თუ არა, დანამდვილებით არა ითქმის-რა.

✦ **მინისტრის ჩამოსვლა.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი და ჩამოხდება სასახლეში. სასამართლოების დათვალიერების შემდეგ მინისტრი, 29 აგვისტოს, ღამის მატარებლით წავა ყარსისკენ მოივლის დარაჩიჩაგს, ერევანს და მერე ისევ ტფილისში დაბრუნდება როგორც ფიქრობენ.

✦ **შეწირულება გვირგვინის ნაცვლად.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ განსვენებულ მსახიობ ქალის ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის ხსოვნის აღსანიშნავად და პატივსაცემად დაადგინა ოც-და-ათი მანეთის წიგნები გაეგზავნოს სახალხო სამკითხველოებს.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 21 აგვისტოს ბარონის ქუჩაზე მაძებარ პოლიციის აგენტებმა შეიპყრეს შუშის მცხოვრები ალექსანდრე სერგეს ძე ავაქოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **ჯილდოები პროექტისათვის.** იმ კონკურსზე, რომელიც კავკასიის აფიცერთა ეკანომიურ საზოგადოებამ გამოაცხადა ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, საკუთარი შენობის ასაგებად გეგმების შესადგენათ, წარდგენილ იქმნა 9 პროექტი. მათ შორის ერთი

# „სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზენაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

**მოვაგონებთ** წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ:
Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ. „სახალხო გაზეთის“ კანტორა.

გამოგზავნილი იქმნა პეტერბურგიდან და მეორე პოლანგენიდან. 17 ამ თვეს ჟიურიმ განიხილა ეს პროექტები და დაადგინა: პირველი ჯილდო არც ერთ მათგანს არ მიეცეს. მეორე ჯილდო—300 მანეთი—მიუსაჯა სამოქალაქო ინჟენერებსა ყაზარ და არტაშეს აკოფას ძეთ სარქისიანებს, ხოლო მესამე ჯილდო—200 მანეთი— მიუსასჯა ინჟინერს ივანე კაზიმირის-ძე სავიჩს.

✦ როგორც გორიდან გვატყობინებენ, სოფელ ხვითში იდია დაკითაშვილს და დავით ხეთაგაშვილს ღვთრ-გერით მძიმედ დაუჭრიათ ივანე გიგაშვილი. დავითაშვილი და ხეთაშვილი დაუპატიმრებიათ.

✦ 15 აგვისტოს ტფილისში უკვალოდ დაიკარგა კარაკლისის ქუჩაზე მცხოვრები მიხეილ შიკირტუმას ძე ასლანოვი, 13 წლისა.

✦ 22 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე ელექტრონის სადგურთან ბანაობის დროს მტკვარში დაიხრჩო უცნობი ბავშვი, დაახლოვებით 12 წლისა. დამხრჩვალი წყლიდან გამოიტანეს.

✦ როგორც გვწერენ, გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში ს. ელიაშვილს მოუკვლავს დექსო ელიაშვილი მოკვლის მიზეზი პირადი მტრობა ყოფილა.

✦ ამ დღეებში კობში თოფით თავი მოიკლა ადგილობრივმა მცხოვრებმა სპირიდონ თუაშვილმა.

✦ ჟურნალ „განათლება“ ჩვენმა რედაქციამ მიიღო მე VII ნომერი შემდეგის შინაარსით: 1. საუბარი სახალხო სკოლაზე (წერილი პირველი) ლ. ბოცვაძისა. 2. მასწავლებლის განათლება და მისი პიროვნება ი, ნიჟარაძისა. 3. სქესობრივი საკითხი აღზრდაში 4. კარგი მასწავლებელი (ანასტასიივისა) ბეს. ღამბაშიძისა. 5. იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი (მისი 45-ის წლის საპედაგოგიო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო), სურათით და ფაქსიმილეთი. 6. სატკივრის ბიოლოგიური მნიშვნელობა—პსიხო-ფიზიოლოგია. 7. ტრაპიზონი (მგზავრის წერილებიდან) აკაკისა. 8. მოგონება ბოდბის მონასტრის ცხოვრებიდა ნ, მ. შ.—ისა. 9. დედ-მამა (ლექსი) აკაკისა. 10. არწივი (თარგმანი) ვალიკოსი. 11. სიკვდილით დასჯილი (თარგმანი) ლექსი ა. შანშიაშვილისა. 12. ზღვის სურათები (ლექსი) მელიტონ გოგჩიასი. 13. ხატვა-ხაზვის პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 14. ხატვა-ხაზვის სწავლება ალ. მრევლიშვილისა. 15. ამერიკული მეთოდი ხატვის სწავლებაში—კახაბერისა. 16. უცხოეთი: სკოლის გამოცდილებიდან; მხატვრული ლია წერილები საფრანგეთის სკოლებში. 17. სკოლები ოსმალეთში არაბული სკოლის სურათით. 18. ბიბლიოგრაფია: „ქართველი მწერლები“ ივ. გომელაურისა ნაწილი I, გამოცემა მესამე.

✦ 22 აგვისტოს ღამის პირველ საათზე თელავის ქუჩაზე ფულის გამო ჩხუბი მოუვიდათ ტფილისის მცხოვრებთ დავით მიხეილის ძე ალიხინოვს და ყარამან გიორგის ძე არუშინოვს. ჩხუბის დროს პირველმა რაღაც მჭრელის იარაღით მუცელში ორ ადგილას მძიმედ დასჭრა არუთინოვი და მიიმალა. შემდეგ კი იგი თვითონ გამოცხადდა პოლიციაში და ყველაფერში გამოტყდა. იგი შეიპყრეს. არუთინოვი მიხეილის საავადმყოფოში წევს.

# მოწერილი ამბები

**სოფ. საყარაულო.** (თიანეთის მაზრა). თოლიჯოს, ხევსურეთ სოფლს და საუდრიან სვიმონიანთ ხევში ხოლერა თითქმის მთისპო. შეშინებული ტყეში გახიზნული ხალხი ბრუნდებიან შინ და აბიხავებენ თავ შინებებულ წლის მოსავალს. შეკრული გზებიც გახსნეს, თუმცა კი ჩემის აზრით ჯერჯერობით აჩქარებულად უნდა ჩაითვალოს გზების გახსნა. ხოლერა რომ სხვა სოფლებს არ მოედო და ჩქარა მინელდა, ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ თიანეთის მაზრის მმართველობამ საერთოდ ფიცხელი ღონის ძიება იხმარა ხოლერის წინააღმდეგ. თიანეთის ექიმი ბ. თუმანჯანოვი ხოლერის კაჩენის დღიდგანვე დაიარებოდა ხოლერიან სოფლებში და ხმარობდა საჭირო ზომებს. სიმართლეს არა სწერდა ბ. „ნემო“ „სახალხო გაზეთის“ № 66 შ, ვითომ თიანეთის ექიმმა გამოიკვლია და სთქვა ხოლერა არ არისო. მე თითონ ამ სტრიქონების დამწერი, სანიტარულ კომისიის წევრი გახლავართ საყარაულოს სამრევლოში, და სიმართლე უნდა მოგახსენოთ, იმანა თუ არა ხოლერამ თავი,—ივლისში ხუთში თუ ექვსში, ბ. თუმანჯანოვმა ბოქაულის თანაშემწესთან ერთად ჩამოიარა სოფ. საყარაულოში, შეგვკრიბა სანიტარული კომისიის წევრები, გვითხრა. ხევსურთ სოფელში ხოლერა გაჩნდაო და გვებაასა სოფლების სისუფთავეზედ და სხვა საჭირო საგნებზე, რაცა საჭირო ზომები მიიღო ბ. თუმანჯანოვმა, შემდეგ მოვიდნენ ახმეტის ექიმი და ფერშლები.

ვთიდ სინდისიერად იქცევიან ახმეტის ექიმი და ფერშალი თალიაც, დიდი მადლობის ღირსია, სუდრიანის მღვდელი ბლაღოჩინი მ. გრიგოლ წიკლაური, რომელიც მამაშვილურ დარიგებას და დახმარებას აძლევდა ხოლერისაგან შეშინებულ ხალხს, და ფერშლის მაგიერობასაც კი ეწეოდა. თიანეთის მაზრაში ამთვის პირველს რიცხვებში დილით და საღამოთი საგრძნობლად აცივდა, შუადღისას კი, რადგაც საშინლად ჩამოცხება ხოლმე; ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ციებ-ცხელება ძლიერ გახშირებულია და მომეტებული ხალხი ციებ ცხელებით არის შეპყრობილი ამ ჟამად. **ქართველი ოხეში.**

# ჰაერში ფრენა.

**ზაიკინი—ავიატორი.** როგორც მკითხველებს ეცოდინებათ—ცნობილი ფალავანი ი. ზაიკინი ეს ორი სამი თვეა ავიატორის შესწავლას შეუდგა და ჯერ-ჯერობით საქმეც კარგად მიდის. ეხლა მას წინადადება მიუცია კომიტეტისათვის, რომელიც აწყობს მთელი რუსეთის ავიატორულ დღესასწაულს, რომ იგი თავის მხრით ნიშნავს 5.000 მანეთიან პრემიას, ვინც ყველაზედ მძიმე აეროპლანით ყველაზედ მეტ ხანს გასძლებს ჰაერშიო.

**ატლანტიურ ოკეანეზე გადაფრენა.** ამერიკანელ ველმანის ცდა ატლანტიურ ოკეანეზე გადაფრენისა თავის დირიჟაბლ „ამერიკით“ უკვე ხორციელდება. ეს აპარატი თურმე ძალიან ემსგავსება იმ აპარატს, რომლითაც იგი ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ აპირებდა გაფრენას. ველმანს თან მიჰყავს თურმე ხუთი კაცი და მიაქვს ერთი თვის საგძალი. დირიჟაბლზე მოწყობილი იქნება უმავთულო ტელეგრაფი, რომლის შემწეობითაც იგი ყოველდღე აცნობებს ხოლმე თავის მოგზაურობის შესახებ.

**ქალი—ავიატორი.** პარიჟში პილოტთა სკოლაში შესულა სასწავლებლად კნეინა დოლგორუკასა, რომელიც ბლერიოს აპარატზე აპირობს ფრენას.

# თეატრი და ხელოვნება

**ს. კავთისხევი.** (გორის მაზრა). 17 მარიამობისთვეს. კავთისხევში ელიზბარ ჯაჯანაშვილის თაოსნობით სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ.“ პირველად გამოვიდა სცენაზე ქ. ვ. ჯაჯანაშვილისა „მამოს“ როლში მაგრამ თავი საკმაოდ კარგა ეჭირა; დამსწრე საზოგადოებამ ტაშის კრით რამდენჯერმე დააჯილდოვა და თაიგული

---

იმის მიღებაც არ შეგვიძლიანო. ამგვარად ნავთსადგურის უფროსის აზრით ესალებია მხედველობაში ერთად ერთი ხარჯი. ეს ნავთსადგურის გაწმენდა, რომელიც წელიწადში მოითხოვს არა უმეტეს 30—40000 მანეთისას, კიდევაც რომ საკუთარი „ქარავანი“ შეიძინოს თვითმმართველობამ, ამისათვის კი სრულიად საკმარისია, თუ მარგანეცს დავადებთ $1/8$ კაპეიკიან გარდასახადსაო. ამ აზრს მიემხრო ნავთსადგურში მუშაობის უფროსი—წარმომადგენელი ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროის და ეგრეთვე წარმომადგენელი სახელმწიფო კონტროლისა. უნდა დავსძინოთ რომ სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი პირადად არ დასწრებია, მაგრამ დიდად დასაბუთებული მოხსენება წარმოუდგინა საკრებულოს. ნავთსადგურის მუშაობის უფროსმაც ვრცელი და საფუძვლიანი მსჯელობა წარმოადგინა. ბ. ნ. ნიკოლაძე იცავდა ციფრებს და ამბობდა, რომ „ქარავანი“ უსათუოდ ისეთია საჭირო, ვინაიდან მიუცილებელია, რომ ფოთი საქვეყნო („მიროვოი“) ნავთსადგურად გარდავაქციოთო. ბევრი უმტკიცეს ნავთსადგურის უფროსმა და მუშაობათა უფროსმა, რომ ფოთისათვის სრულიად საკმარისია 26—28 ფუტი სიღრმე, მაგრამ ბ. ნიკოლაძემ „ცნობილ“ ინჟინერთან ბაასი მოიყვანა. „გუჩკოვის“ ინციდენტის შემდეგ, რასაკვირველია ბ. ნიკოლაძის მოხსენება სხვა და სხვა საუბრისა მარტო ღიმილს იწვევდა მსმენელთა შორის.

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ზდანოვიჩმა შემდეგი მოსაზრებები წარმოსთქვა. როგორც ყველა საქმეში ჩახედული კაცი კარგად მიხვდება, ფოთის ქალაქის თვითმმართველობას და ქალაქის თავს ერთი რამა სურთ: **ორი მილიონის სესხება**—ხოლო რაში უნდა დაიხარჯოს ეს ფული, ეს სულ ერთია. რომ ეს ასეა, საბუთები ხელში მაქვს. ფოთის ქალაქის თავმა წარადგინა სახელმწიფო სათათბიროში 1908 წელს მოხსენება, სადაც ამ სესხს უნდა დაეფარა სულ სხვა საჭიროება ქალაქისა, ვიდრე ის, რომელიც აღნუსხულია 1910 წ. მოხსენებაში.

1908 წელში ერთი მიუცილებელი საჭიროება იყო 1910-ში—მეორე.

| | 1908 წ. | 1910 წ. |
|---|---|---|
| 1) გადახდა სხვა და სხვა ვალებისა . . | 740.000 | 340.000 |
| 2) ეგრეთ წოდებული, „ელევატორი“ . | 450.000 | 550000 |
| 3) დამთავრება „ელვატორის“ მოწყობილობისა | 0 | 120000 |
| 4) განსაკუთრებული გემი დიდი გემების ნავთსადგურში შემყვანი . . | 135.000 | 0 |
| 5) შლიუზიანი არხი რიონზედ . . . | 0 | 98.000 |
| 6) ნავთსადგურის გაკეთება რიონის ჩრდ. . . | 0 | 160.000 |
| 7) სხვა და სხვა ხარჯი სესხის გამო . . | 0 | 230.000 |
| 8) ქალაქის საავადმყოფო | 120000 | 0 |
| 9) გადამდები სნეულებით შეპყრობილთათვის საავადმყოფო . . | 69000 | 0 |
| 10) ერთგვარ ზღვაოსანთა სკოლა . . . | 95000 | 0 |
| 11) კომერციული სასწავლებელი | 108000 | 0 |
| 12) ხელოსანთა სასწავლებელი | 40000 | 0 |
| | **1908 წ.** | **1910 წ.** |
| 13. საქალებო სასწავლებელი. | 4000 | 0 |
| 14. პოლიციის სადგომები. | 47000 | 0 |
| 15. ჯარის სადგომი ბინები. | 76000 | 0 |
| 16. რეზერვუარი წყლის გასაწმენდი. | 34000 | 0 |
| 17. სანიტარული მოწყობილება. | 15000 | 0 |
| 18. მიწის ამომწმენდი ქარავანი. | 0 | 475000 |
| | 1.973000 | 1.973000 |

აქედან თქვენ ცხადად დაინახავთ, რომ ქალაქის თავისათვის ყოველივე ხარჯი მიუცილებელია და ყოველგვარ ხარჯს მოგახვევთ თავზედ—ოღონდ კი ორი მილიონი ისესხოს და ამ სესხით გაისტუმროს ის „კულტურული მანქანა“, რომელიც გამოუსადეგარია იმათთვის, ვინც შიგ ფულები ჩაჰყარა. აბა გადაათვალიერეთ ორივე ეს სია. ორივეში მარტო ამ ერთ საერთო საგანს ჰნახავთ, იგი უცვლელია. მისი ხარჯი თუ იზრდება, თირემ არა მცირდება: უწინ ღირდა 450000, ორ წელიწადში გაიზარდა 670000 ე. ი. 50% მიემატა. „ქარავანისა“ ხსენებაც არ იყო უწინ, მაშასადამე უიმისოდ იოლად წავა ქალაქის თვითმმართველობა, როგორც მშვენივრად დაგვისაბუთეს აქ ნავთსადგურის ინჟინერებმა, მაგრამ უამისოდ ხომ ორ მილიონს ვეღარ ვისესხებთ! უწინ სესხის ხარჯი მოხსენებული არ იყო, დღეს კი 230000 მანეთია ამ საგნისათვის აღნუსხული — უამისოდაც ხომ ორი მილიონი აღარ გამოვიდოდა! აბა გადაათვალიერეთ ის ცხრილი, რომელიც ბ. ნიკოლაძემ წარუდგინა სახელმწიფო სათათბიროში და შეუდარეთ დღევანდელ ცხრილს: მიუცილებლად აღიარებულ საჭიროებათაგან მარტო ორი და დარჩა: ვალები (740000) და ელევატორი (45000)—; დანარჩენი თვით ბ. ნიკოლაძემ გამოირიცხა, როგორც „არა მიუცილებელი“ ამ ორ საგანს კი სჭირია მხოლოდ 1.1900.000 მან. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქალაქს უკვე 400.000 მან. გადაუხდია, რაიცა სჩანს იქიდან, რომ დღევანდელ ცხრილში ვალები 340.000 მანეთად არის გამოანგარიშებული გამოდის, რომ ბ. ნიკოლაძეს სჭირია სასესხებლად არა 1.190.000 არამედ 790000 (1.190000—400.000=790.000): მიუხედავად ამისა ფოთის ქალაქის თავი მაინც **ორ მილიონს** ფეხს არ უცვლის და ბალანსის გამოსაყვანად ახალ-ახალი მუხლები შეაქვს, და სესხის მიუცილებლობას ამტკიცებს. მარგანეცის მრეწველთა კრებამ და მისმა წარმომადგენელმა ორგანომ კარგად იცოდა, რომ ფოთის ქალაქის თვითმმართველობისა და მრეწველობის ინტერესი, ნამდვილად კი თავის არეულ ფინანსიურ მდგომარეობის გამწყობა უნდოდა, იმ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩავარდა უვარგის კომერციულ დაწყებულების წყალობით.

ეგრეთ წოდებული „ელევატორი“ აშენებული გახლავსთ საკუთრად თავისთვის „შავიზღვის-აშენებლის“ საზოგადოებისაგან, რომლის მეთაური განსვენებული პოლოშკოვსკი გახლავთ. იმას იმდენი გამოსაჩენი ეგონა ეს „ელევატორი“ რომ მონოპოლიაც კი აიღო,—სხვას არავის არა ჰქონდა უფლება მარგანეცის გადამტვირთავი მანქანა დაედგა. ხოლო როცა სინამდვილემ წინ გადაუშალა მთელი უვარგისობა თავისი საქმისა, ფოთის ქალაქის თვითმმართველობას ჩააჩერა და შუაკაცობა ამ საქმეში, მგონი, თვით ქალაქის თავმა იკისრა, ხოლო რაკი ქალაქს ფულები არა აქვს, ქალაქის თავს სურს მარგანეცის მრეწველობას აანაზღაურებინოს კომერციული შეცდომილება ბ. პოლოშკოვსკისა. როგორც აქ მშვენივრად დაასაბუთებს აქაურის ნავთსადგურის კარგად მცოდნე უფროსმა ინჟენრებმა ეგ „ელევატორი“ სრულიად გამოუსადეგარია და ვერას დროს ვერ გაუწევს კონკურენციას მუშებს. მაგით შეუძლია ისარგებლოს ერთმა ან ორმა კაცმა, რომლის გემიც წინა სდგას, დანარჩენმა კი უნდა უცადოს რიგს და ამგვარად ხუთის დღის მაგიერ გემი დატვირთოს 12—14 დღის შემდეგ და ჯარიმები იხადოს. ამგვარად მაგისი მნიშვნელობა მარგანეცის მრეწველობისათვის უდრის ნულს. განა ეგ რომ კომერციულად გამოსადეგი იყოს, ბ. პოლოშკოვსკი არ ისარგებლებდა. ან თვით ქალაქს რად დასჭირდებოდა ჩვენი ძალით შებოჭვა და კისერზედ უღლის დადგმა. მაგრამ უვარგისი გამოდგა და ეხლა ჩვენის ფულით უნდათ შეავსონ თავისი ზარალი. გარდა ამისა ეგ ბედ-შავი მანქანა 1908 წელში 45,000 მანეთად იყო შეფასებული დღეს 55,000. ეს კიდევ არაფერი, თურმე მაგას კიდევ მოწყობა სჭირია, ასე ვსთქვათ მოწესრიგება ეჭირვება და ამაში კიდევ 120,000 მანეთს გვთხოვენ,

ეხლა რას გადაგვახდევინებენ გადატვირთვაში, ღმერთმა იცის! ფოთის ქალაქის თავი თავაზიანად გვპირდება $1/2$ კაპეიკის მეტს არ გადაგახდევინებთ ფუთის გადატვირთვაშიო. მე კი ხელთა მაქვს ქუთაისის გუბერნატორის მიერ ამ წლის მარტის თვეში, დამტკიცებული წესდება „ელევატრით“ სარგებლობისა, სადაც გადატვირთვის ფასი ერთ კაპეიკად არის აღნიშნული. ვსთქვათ, ნახევარ კაპეიკს დაგვჯერდნენ. ზევით მოგახსენეს, რომ მუშით გადატვირთვა უფრო იაფად ჯდება და გარდა ამისა კიდევ ამ „ელევატორით“ ყველა ვერ ისარგებლებს. ყოველივე ამის გამო მარგანეცის მრეწველთა აზრით ამ მანქანაში ჩადებული ფული წყალშია გადაყრილი. მაგის აშენების დროს დიდი შეცდომებია ჩადენილი და ეს შეცდომები სურთ ჩვენს ზურგზედ გაასწორონ. რაიცა შეეხება დანარჩენ ხარჯს, რომელნიც 1910-შია მიუცილებელნი, ხოლო 1908-ში კი არ იყო—ისინი არიან შემდეგნი: შლიუზიანი არხი—98,000 მანეთი და რიონის ერთ ერთ ხელზედ ნავთსადგურის გაკეთება—160,000 მან. არცერთ ამ საგანს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მარგანეცის მრეწველობასთან და ამიტომაც ამაში ჩადებული ხარჯი არ შეიძლება მარგანეცის მრეწველობას დაეკისროს.

კიდევ უფრო გასაკვირველია, რაში უნდა მივსცეთ ფოთის ქალაქს 34,000 მან., რაიცა „ვალისა“ და „სესხის“ გასასტუმრებლად, რომელიც ვითომ ფოთის ნავთსადგურის გაუმჯობესობაშია დახარჯული. ჯერ ერთი გასაოცარია, საიდან დაუხარჯავს ეს ფული ქალაქს თავისის ჯიბიდან, როცა ამ ჯიბეში 50000 მანეთის მეტი შესავალი არ აქვს (ბ. ზდანოვიჩის შეკითხვას, თუ რამდენი შემოსავალი აქვს ფოთს ბ. ნიკოლაძემ პასუხი არ უთხრა, არ მახსოვსო). მეორე, თუ ნავთსადგურის გა-

მიართვა. აგრეთვე კარგი იყო ქ. დედანოვისა „ელისაბედის“ როლში მხოლოდ ზოგჯერ უადგილო სიცილი ეტყობოდა.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. სხვათა შორის ჯაჯანაშვილმა და საფაროვმა იმღერეს „ვაი ვუის“ ხმაზე კუპლეტები რომელიც ხალხს ძლიერ მოეწონა.

**გიორგი დამსწრე.**

---

**ს. ქვემო-მაჩხაანი.** 31 ივლისს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტის ა. ახმეტელაშვილის რეჟისორობით, სოფელ ქვემო-მაჩხაანში წარმოდგენილ იქმნა ჩვენის საუკეთესო დრამატურგის სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“. ყველას მოეხსენება, რა ძნელია ამ რთულ და პასუხსაგებელ პიესის წარმოდგენა სოფლის მოუწყობელ სცენაზე. ამის და მიუხედავად წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, ესთეტიურად დაატკბო იგი და ნასიამოვნები გაგზავნა შინ. დარბაზი სავსე იყო ხალხით და შემოსავალიც სრული, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ახლად ტანისამოსის შეკერვას და ახალ დეკორაციების დახატვას დიდი ფული დასჭირდა. დეკორაციები უსასყიდლოდ სტუდენტმა ნადირაძემ დახატა, რისათვისაც დიდი მადლობის ღირსია.

მხოლოდ განსაკუთრებულის მადლობის ღირსია ზემოხსენებული სტუდენტი, ამ წარმოდგენის რეჟისორი ა. ახმეტელაშვილი, რომელმაც არ დაზოგა თავისი შრომა, რათა ადგილობრივი სცენის მოყვარენი ჯეროვნად მოემზადებინა.

სცენის მოყვარეთა შორის მეტი ყურადღება ზეინაბას როლის ამსრულებელმა ა. ჯანყარაშვილისამ და სულეიმან-ხანის ამსრულებელმა ტ ბალაშვილმა მიიქციეს. თუმცა დანარჩენ სცენის მოყვარეთაც არა უშავდათრა და საერთოდ წარმოდენის ანსამბლს ხელი შეუწყეს და როლებიც ჩინებულად იცოდნენ. **X**

# უცხოეთი

**ოსმალეთი.**

საქონიკში მდგომ მესამე კორპუსისათვის ბრძანება გაუციათ — ყოველ შემთხვევაში მზად იყვნენ, თუ ვინიცობაა საქმე გართულდეს.

**კაუტსკის და ბებელის ავადმყოფობა.** სოციალ-დემოკრატების საერთა შორისო კრებაზე მყოფი კ. კაუტსკი ძალიან ავად გამხდარა და იძულებული გამხდარა კრებისთვის თავი გაენებებინა. ავად გამხდარა აგრეთვე მეორე მეხოვანი სოციალ-დემოკრატიც ა. ბებელი.

**ოსმალეთი და საბერძნეთის არჩევნები.**

თითქმის ყოველ თვე ახალ-ახალი სადაო კითხვა, წამოჭყოფს ხოლმე თავს ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის კუნძულ კრიტეს შესახებ. ამ ცოტა-ხნის წინედ, თითქოს, ყველა დაცხრა მორჩენო, მაგრამ ეხლა ისევ ახალად მწვავდება საქმე საბერძნეთის საერთო კრების არჩევნები უკვეგათავდა. რამდენიმე დეპუტატი, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საბერძნეთის საერთო კრებაში. ამაზედ ოსმალეთმა წინააღმდეგობა განაცხადა, რამაც კრიტელები ძალიან დაათვიქრა, მაგრამ თავიანთ გადაწყვეტილებას მაინც თავს არ ანებებენ. კრიტედან არჩეულთა შორის არის თურმე განთქმული პირი ვენიზელოსი, რომელიც საბერძნეთის ქვეშევრდომად ითვლება, და სწორედ ის აყენებს გამოურკვეველ მდგომარეობაში ოსმალეთს.

როგორც საბერძნეთის ქვეშევრდომი იგი არ ემორჩილება ოსმალეთის კანონებს და სურვილს, მაგრამ, როგორც კრიტეს წარმომადგენელი საბერძნეთის საერთო კრებაზედ—არღვევს ოსმალეთის უზენაეს უფლებას კრიტეზედ და ეს მიზეზი იწვევს ახალ პოლიტიკურ უთანხმოებას, რაც ძნელი გამოსაცნობია, თუ როგორ გადაწყდება, ან რა ხასიათს მიიღებს იგი, მხოლოდ ეს კია, რომ ოსმალეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი უზენაესი უფლება კრიტეზედ უბრალოდ არავის არ დაუთმოს.

**კორეის შეერთების გამო ხელშეკრულობა.**

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ იაპონიამ უკვე შეიერთა აქამდე თავისუფალი სახელმწიფო კორეა და მით დიდი ხნით განზრახულ სურვილს მიაღწია. ამ შეერთების დროს იაპონიამ და კორეამ შემდეგი ხელშეკრულობა დასდეს:

1) მისი უდიდებულესობა იმპერატორი კორეისა სავსებით და სამარადისოდ უთმობს თავისს უზენაესს უფლებებს სრულიად კორეაზე მის უდიდებულესობას იმპერატორს იაპონიისას.

2) მისი უდიდებულესობა იმპერატორი იაპონიისა ეთანხმება და თანხმობას აცხადებს კორეის იმპერატორის მიერ დათმობილ უზენაესს უფლებათა მიღებაზე და კორეის იაპონიის იმპერიასთან სამარადისო შეერთებაზე. 3) მისი უდიდებულესობა იმპერატორი იაპონიისა უმოწყალესად უტოვებს იმპერატორს კორეისას, იმპერატორად ნამყოფს, მემკვიდრე პრინცს, მათ მეუღლეთა და მემკვიდრეთ იმ ხარისხს, ღირსებასა და დიდებას, რომელიც მათ მდგომარეობას შეეფერება და აგრეთვე ყოველ წლივ უბოძებს შესაფერ ჯილდოს. 4) მისი უდიდებულესობა იმპერატორი იაპონიისა უმოწყალესადვე უტოვებს კორეის საიმპერატორო გვარეულობას ან წევრთ, რომლებიც ზემოდ მოყვანილ მუხლში არ არიან მოხსენებულნი და მათ მემკვიდრეებს ყოველივე შესაფერ ღირსებას ყოველ წლიურის ჯილდოითვე. 5) მისი უდიდებულესობა იმპერატორი იაპონიისა უბოძებს აზნაურობის ხარისხს და შესაფერ ჯამაგირებს ამ კორეელებს, რომლებიც დამსახურებისა გამო ღირსნი იქნებიან ამ განსაკუთრებულ ჯილდოისა. 6) შეერთებს რა კორეის თავისს იმპერიას, იაპონიის მთავრობა ამიერიდან სრული გამგებელია კორეისა და ყოველივე მზრუნველობასაც გაუწევს კორეის მკვიდრთა და მათ საკუთრებას. კორეელები მოვალენი არიან დაემორჩილონ ამ ქვეყანაში არსებულ კანონებს თავის და საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ. 7) იაპონიის მთავრობა სახელმწიფო სამსახურში მიიღებს მხოლოდ იმ კორეელებს; რომლებიც ერთგულნი, გულწრფელნი და ამ სამსახურისათვის შესაფერისნი იქნებიან და რომლებიც სავსებით დაექვემდებარებიან დროთა-ვითარებისაგან შექმნილ პირობებს. 8) ამ ხელშეკრულობაზე თანხმა არიან იმპერატორი იაპონიისა და იმპერატორი კორეისა და ძალაში შევა დღიდან საჯარო გამოცხადებისა.

---

უმჯობესობაშია დახარჯული ეს ფული, ჩვენ კიდევაც ვხედით ნორმალურ გარდასახადს ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა ნავთსადგურით მარტო ჩვენ ხომ არა ვსარგებლობთ! სარგებლობს ყველა, ვისაც გააქვს ან შემოაქვს საქონელი და ყველამ უნდა დაეკისროს და არა მარტო მარგანეცის მრეწველთ. მართალი მოგახსენოთ თვით „ვალების“ ჯამიც განცვიფრებას იწვევს. ბ. ფოთის ქალაქის თავს არა სურს აგვიწეროს რა ვალებია, ეს ვალები, ამგვარი სია მე სამინისტროს წარუდგინეო. ერთად ერთი ხარჯი, რომელის წინააღმდეგი არა გვაქვს რა. ეს ნავთსადგურის გაწმენდაა. სამწუხაროდ, თუმც ამ ნავთსადგურმა 17 მილიონი სახალხო ფული ჩანთქა, მაგრამ მაინც ყოველ წლიურ მუშაობას თხოულობს. ნავთსადგურს გაწმენდა ეპირვება. როგორც აქ მშვენიერად დაასაბუთა ფოთის ნავთსადგურის უფროსმა ამ ხარჯს ეპირვება 3—40000 მანეთი, მაშინ როდესაც ფოთის ქალაქის თავი 5000 მანეთს გვთხოვს წლიურად და 475000 მანეთს ერთდროულად ქარავანისათვის. მარგანეცის გაზიდვამ ეხლა დიდად იმატა: წლეულს ჩვენ 45 მილ. ფუთს გავიტანთ, მაშასადამე სრულიად საკმარისია ამ ხარჯისათვის $^1/_{10}$ კაპეიკი და ჩვენც მარგანეცის მრეწველობის წარმომადგენელნი ამ ციფრს ვერ გადავესცილდებით, ჩვენის მოსაზრებით კი სრულიად ვეთანხმებით იმ დიდად საფუძვლიან მოხსენებას, რომელიც აქ წარმოადგინა ნავთსადგურის უფროსმა, ნავთსადგურში გამართულის მუშაობის უფროსმა და კონტროლის წარმომადგენელმა. საკრებულოში გადამწყვეტი ხმა შემდეგ პირთ აქვსთ: თავმჯდომარეს, ნავთსადგურის უფროსს; წარმომადგენელს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსას; სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელს, გზათა მინისტრის წარმომადგენელს; იუსტიციის მინისტრის წარმომადგენელს იგივე ადგილობრივ მოსამართლეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს—ადგილობრივ პოლიციის უფროსს საბაჟოს უფროსს—ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელს, ფოთის ბირჟის კომიტეტს, ადგილობრივ ვაჭრებთა ორ წარმომადგენელს, ფოთის ქალაქის თავს. მარგანეცის მრეწველებს ერთი წარმომადგენელიც არა ჰყავთ ამ საკრებულოში. საკრებულოს ის წევრები, რომელთაც საქმე იციან, ერთხმად წინააღმდეგი გახდნენ ფოთის ქალაქის თავის მოთხოვნილებისა მარგანეცზე ნახევარ კაპეიკიან გარდასახადის დადების შესახებ, ხოლო უმეცრობამ, რომელნიც კერძო და ვიწრო ადგილობრივ ინტერესებს იცავენ, ხოლო საქმისა კი ზოგს ბევრი არაფერი გაეგება, რასაკვირველია ქალაქის თავს დაუჭირეს მხარი, ამ უმეტესობას უძღოდა ბ. ნ. ნიკოლაძე და მას მხარს აძლევდნენ საბაჟოს უფროსი, ადგილობრივის პოლიციის უფროსი, ადგილობრივი მოსამართლე, ფოთის ბირჟის კომიტეტის წარმომადგენელი და ადგილობრივის ვაჭრების წარმომადგენელი. ვე გაგვიგია მხოლოდ გზათა მინისტრის წარმომადგენელი რა ინტერესის გამო აძლევდა ქალაქის თავს. თითქო რკინის გზის წარმომადგენლებს იდეალად დაესახოსთ მარგანეცის მრეწველობის უფსკრულში გადაჩეხას; იმას არა კმარობენ, რომ თვით უცნაურ ტარიფს ადებენ ამ საქონელს, სადაც კი გაიგონებენ, რომ კიდევ უპირაპენ დაჯარიმებას მარგანეცს, მირბიან და იქაც ხელს უწყობენ.

**დამსწრე.**

# რუსეთი

**საშუალო სასწავლებელთა რეფორმა.** სახალხო განათლების მინისტრმა შვარცმა ახალი კანონ-პროექტი შეიმუშავა შესახებ საშუალო სასწავლებლებისა. შვარცის კანონ-პროექტის ძალით სამგვარი ტიპი იქნება სასწავლებლისა: პირველში ასწავლიან ბერძნულ, ლათინურ, და ფრანგულ ენებს, მეორეში—ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს და მესამეში მხოლოდ ფრანგულ და გერმანულ ენებს. ახალი პროექტის ძალით ინსპექტორების თანამდებობა გაუქმებული იქნება და დიდი ყურადღება ექნება მიქცეული ფიზიკურ განვითარებას მოწაფეებისას და ადგილობრივ ენების სწავლებას.

**ახირებული ხუმრობა.** ერთი ფინლანდიელი გაზეთი შემდეგ ამბავს მოგვითხრობს: ამ ერთი კვირის წინეთ ნავთსადგურში გენერალ-გუბერნატორის შესახვედრად შეიკრიბნენ სამხედრო პირები და ქალაქის წარმომადგენლები. აქვე მოვიდა მეკუბოვე ბალდახინით, შეკითხვაზე თუ რისთვის არის აქ, მეკუბოვემ განაცხადა, რომ დაბარებულია ტელეგრამით ვიღაც წარჩინებულ მიცვალებულის წასასვენებლად.

**გადამეტებული სიფრთხილე.** ხოლერა მთელ რუსეთს მოედო. ყველგან ცდილობენ რაც კი შეუძლიანთებრძოლონ ამ დაუნდობარ სენს, ქალაქის გამგეობები ხმარობენ სხვა და სხვა სანიტარულ ზომებს, აფრთხილებენ მცხოვრებთ, კითხულობენ ლექციებს და სხვ. სხვათა შორის ქ. სმოლენსკშიაც მოისურვებიათ ლექციის წაკითხვა ხოლერაზე მაგრამ ადგილობრივ ადმინისტრაციას აუკრძალავს, ხარკოვში კიდევ ადგილობრივ გუბერნატორს დაუჯარიმებია გაზეთი „Утро“ ხოლერაზე მოთავსებულ წერილისთვის.

**შავი ზღვის ესკადრის გაძლიერება.** ამწინაზე დავბეჭდეთ ცნობა, რომ ზოგიერთა ოსმალური წრეები ცდილობენ შავი ზღვის ესკადრა რუსეთს ბალტიის ზღვაში გადააყვანინონო და თვით შავი ზღვა კი ნეიტრალურად გამოაცხადებინონ, ეხლა კი როგორც გაზეთები გვატყობინებენ—რუსეთის მთავრობას გადაუწყვეტია ოთხი დრედნოუტის (უზარ-მაზარი ჯავშნოსნები) მიუმატოს ეხლანდელ შავ-ზღვის ესკადრას და უფრო გააძლიეროს იგი. გადაუწყვეტიათ აგრეთვე ნაღმებით უფრო უკეთესად გაამაგრონ შავი ზღვის ნაპირები, ვიდრე ეხლა არისო.

**თამბაქოს წინააღმდეგ.** პეტერბურგში სენატორ კუზმის ხელმძღვანელობით არსდება თურმე ახალი საზოგადოება, რომელის მიზანიც იქნება—წინააღმდეგობა გაუწიონ თამბაქოს წევას. ესეთი საზოგადოებები მრავლად არსებობენ საზღვარგარედაც, რომლებთანაც მუდმივი დამოკიდებულება ექნება პეტერბურგის ახალ საზოგადოებასაც.

# წვრილი ამბავი

ამერიკელები რომ ახირებული ხალხია, ვინ არ იცის, მაგრამ მიხვრხებაშიაც უპირველესი ადგილი უჭირავი და მთელ ევროპას არამც თუ აკვირვებენ თავისას გამოგონებით, არამედ სახელსაც კი თურმე უტეხენ ევროპის მშვენიერ ბანოვანთ... ასე სჯიან. მაგალითად, გერმანიის პოლიციელნი ამ ჟამად დიდ ფაცი ფუცში არიან, რომ გერმანიის კეკლუცებს აბრუ არ გაუტეხონ და მით დაიხსნან იგინი სირცხვილისაგან.

ბერლინის განაპირას, გალენზეეში, ამერიკელმა კაპიტალისტებმა საკვირველი და საოცნებო გასართობი ბაღი გააკეთეს. ამ ბაღში საარაკო დროს გატარება და გართობა შეიძლება თურმე და თითქმის სულ მუქთად. აქ თქვენ ნახავთ ღრიალა ჩანჩქერებს, თვალ-უწვდენელ მთა-გორაკებს, გაუვალ და თავსბრუდამხვევ ხევ—ხუვებს, ოკრობოკრო ხიდებს და საცურავო ნავებს, რომლებიც თვალ-უწვდენელ სიმაღლიდან ჩამოსდევენ ჩანჩქარებს და ვეებერთელა ტბებში ეხეთქებიან, მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი და გერმანელთა შემაშფოთებელი ყოფილა ამ ბაღში გამართული რომაელია სოფელი თავისის შავ-კანიანის მცხოვრებლებით. გალენზეეში გამართული რომაელთა სოფელი ნამდვილი „სოფელია“. აქ არის სკოლა, არის მეჩეთი, არის სახელოსნოები, საფეიქროები, საჭურჭლეები და სხვა. ერთის შეხედვით გეგონებათ ამ სოფლის მცხოვრებნი თავის ჩვეულებრივ საქმეს ადგანანო, მაგრამ ეს მხოლოდ გეჩვენებათ... ამ სოფლის შავ-კანა და ჟუჟუნა თვალებიანი მცხოვრებნი—ქალები თუ კაცები—მხოლოდ იმასა სცდილობენ, რომ მოსეირენი სხვა და სხვა გვარად გაართონ და გროშები იშოვონ. დიდის ყურადღებით ეპყრობიან მათ გერმანელები, მაგრამ შავ-კანა და ხუჭუჭა რომაელთა—მამაკაცებისათვის უფრო გაგიჟებულნი არიან... გერმანიის ბანოვანნი, კეკლუცი ქალები...

აგერ ერთ რომაელ ვაჟკაცს შემოჰხვევია რამდენიმე გერმანელი ქალი და თვალებითა სჭამენ. რომაელი კი ეხუმრება, მალაყებს გადადის და თავისის დამტვრეულის გერმანულით ეარშიყება. ქალები სიამოვნებით სდნებიან და საიდუმლოებით სავსე თვალებით შეჰყურებენ რომაელს...

მეორე დღეს რომაელთა ვაჟებმა გერმანელთა თორმეტ კეკლუცისაგან მიიღეს საარშიყო ბარათები. შავ-კანიანებს თეთრკანიანი და განათლებული ბანოვანნი პაემანს უნიშნავდნენ. ეს ამბავი გაზეთებში გამოქვეყნდა და სწორედ ამის შემდეგ დაფაცურდა ბერლინის პოლიციაც... „როგორ შეიძლება ასეთი სჯქციელი, ევროპიელმა ქალებმა ხომ სახელი გაიტეხეს შავ-კანიანებშიო?!“ — გაიფიქრა კეთილზნეობიანმა პოლიციამ და რომაელთა ვაჟებს ნება არ მისცა თავის „სოფელს“ გასცილებოდნენ... შეასრულა თუ არა პოლიციამ თავისი განზრახვა და ჩაუკლა თუ არა გულში გერმანელ ქალებს ტრფობა შავკანიანებისადმი, გადაჭრით ვერ ითქმის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გერმანიის მთავრობას გადაუწყვეტია, ყველას აუკრძალოს ამერიკელ შავკანიანთა გერმანიაში ჩაყვანა.

ალბად თვით მთავრობაც თუ სცდილობს ევროპიელ ქალთა ნამუსის დაცვას! მაგრამ განა „განათლებულ ევროპიელ ქალების გული“ მთავრობის ბრძანებას დაემორჩილება?!..

# წერილი რედ. მიმართ

ბატ. რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ ამ მოკლე ანგარიშს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

ამა 1910 წ. აპრილის 3 ს არქიელის გორაზე დაარსებულ წიგნთ-საცავსამკითხველოს სასარგებლოდ,—ქუთაისის თეატრში გამართულ სადამოდან შემოვიდა 382 მ. 45 კ.

დაიხარჯა: თეატრის ქირა, ზოგიერთ არტისტების ჯილდო, მასკებისა, აფიშისა და სხვა წვრილმანი, სულ 140 მ. 58 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 241 მ. 87 კ., ეს ფული გადაეცა წ. ს. სამკითხველოს გამგე კომიტეტს.

საღამოს გამგე ბოდიშს იხდის ანგარიშის დაგვიანებისათვის — დასაპატიჟებელი, სასპატიო ბარათები ქუთაისის გარეთ, სხვა ქალაქებშიაც იყო დაგზავნილი ამათგან წვლილის შემოტანას—გულდად ით.

უდიდეს მადლობას გუძღვნით: ბ. მ. შარაბიძეს მომღერალთა გუნდით, ა. რომანოვისას, დ. კარაგოზიანს, პ. პოლშინს, ტეპცოვს, ვინოგრადოვს, წ. მგელაძის ასულს, გ. პეტროვისას, სტროგონოვს, ქართველ მსახიობ ქალებს, დ. მესხს და საზოგადოდ ყველა იმათ, ვინც საღამოს გამართვას ხელი შეუწყო.

საღამოს გამგე **თ. კ. თუთბერიძისა.**

---

ბ-ნო რედაქტორო!

მამა ივანე შიუკაშვილი ჩემი წერილის (იხ. „სახალ. გაზ.“ № 56), თაობაზ „ნოვაია რეჩი“-ს საშუალებით სამედიატორო სამართალში მიწვევს და, თუ ამაზედ არ დავთანხმდები, სახელმწიფო სასამართლოთიც მემუქრება.

პირველს წინადადებაზედ შემიძლიან მოვახსენო, რომ ჩემს წერილში მოყვანილი წვრილმანი ფაქტები საუკეთესოდ შეუძლიანთ შეამოწმონ, მისდამი რწმუნებულ სკოლაში მასწავლებლად ნამყოფ პირებს, რომელთა უმეტესობის ამ ჟამად თელავიდან დაშორება სამედიატორო სამართალში მათს გამოცხადებას მოუხერხებლად ჰხდის. ამიტომ უმჯობესი იქნება, მამა შიუკაშვილმა გაზეთის საშუალებით გააბათილოს ის ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც იმის თქმით სინამდვილეს არ ეთანხმებიან. თუ ამ შემთხვევაში ზემოდ-ხსენებულმა პირებმა და თელავის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალ-ყურემ მამა შავლიაშვილმა არ დამიმოწმეს — მაშინ ბოდიშის მეტი აღარაფერი დამრჩება მამა შიუკაშვილის წინაშე. რაც შეეხება უმთავრესს საგანს ჩემის წერილისას, **რომ ორ-კლასიანი და ოთხ მასწავლებლიანი კარგად მოწყობილი სკოლა მის ხელში ერთ-კლასიან და ერთ-მასწავლებლიან სკოლად დახურდავდა,** თამამად შემიძლიან დავარწმუნო მკითხველი და „ნოვაია რეჩის“ რედაქციაც, რომ ამაში არც თვით მამა შიუკაშვილსა აქვს ეჭვი.

ამ საქმის სახელმწიფო სასამართლოში გარჩევა, (გულახდით მოგახსენებ შიუკაშვილს) ცოტა არ იყოს მეხარება, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ და მისდა-საბედნიეროდ ეს ჩემ ნება-დაურთველ დაც შეიძლება. მაშინ (და მხოლოდ მაშინ) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაც იძულებული იქნება ჩამომხსნას მამა შიუკაშვილის საჯავრელი და ჩემი საყვარელი ნიღაბი.

**ზარავანდა ვეძის-ხეველი.**


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—16 8

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმაცი:** 6—6½ ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**კომერციულ ცოდნათა კურსები**

**ტ. მ. ფილოიანისა,**

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 27—4).

**სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომტოირში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3 პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. ტენოგრაფია. 3 დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

**კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.**

თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,

(40—2) კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**

**ტფილისის ბირჟის კომიტეტი და ტფილის. ბირჟის არტელის მმართველობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ დაიწყო მოქმედება ტფილისის ბირჟის არტელმა, რომელიც თავდებობით აყენებს სამსახურში

**პასუხის-მგებელ მოურავებს, ბუხჰალტრებს, კასირებს, ნოქრებს და სხ.**

არტელი კისრულობს ქარვასლებისა და სავაჭრო საწყობების დაცვას, საქონლის გადაზიდვას, მიღებას, მიცემას, გაგზავნას და სხვ. არტელის სამსახურთ სარგებლობა შეუძლიან ყველას ხელშეკრულების დადებით; თუ მეარტელისაგან იზარალა ვინმემ, ეს ზარალი ანაზღაურდება არტელის თანხიდან, რომელიც თანახმად წესდებისა იმყოფება საბირჟო კომიტეტის განკარგულებაში.

**მიიღებიან ახალი წევრები.**

ადრესი: შუა-ბაზარი, საკრედიტო საზოგ. სახლი. ტელ. № 348. (110 5—1)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუხჰალტერო კურსები**

**ნ. ვ. აბრამიანისა.**

ავტორი „ვაჭრობ. ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

**ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ.**

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

**კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასწავლა დაიწყება. თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის. წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 7¼.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—დ—5)